ხელშეკრულება

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „SAYALI"-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველო, ქ. თბილისი

22 დეკემბერი, 2014 წელი

ერთი მხრივ, **სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** (შემდგომში "სააგენტო") წარმოდგენილი სააგენტოს იურიდიული დეპარტამენტის სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის შტატგარეშე მომუშავე, გვანცა ნასყიდაშვილის (პირადი №01019023615) სახით, მოქმედი სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მიერ 2014 წლის 18 დეკემბერს გაცემული N4/49548 მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე და ფარგლებში,

და მეორე მხრივ, **შპს „SAYALI"** (საინდეფიკაციო კოდი: N406057804), (შემდგომში - მხარე) წარმოდგენილიმისი დირექტორის მამედ სულეიმანოვის (პ.ნ. 01008004191) სახით,

ვხელმძღვანელობთ რა, „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების შპს „SAYALI"-სათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 15 დეკემბრის N15/12/06 განკარგულებით განსაზღვრულისგან განსხვავებული პირობების დადგენისა და შპს „SAYALI"-ს მიმართ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 13 დეკემბრის N1959 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 02 დეკემბრის N2147 განკარგულებისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „SAYALI"-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე და ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

მუხლი 1

1.1 საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და შპს „SAYALI"-ს შორის 2011 წლის 26 დეკემბერს გაფორმებულ ნასყიდობის ხელშეკრულების (*შემდგომში:* "ხელშეკრულება") 3.1.2 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.1.2 „ქონების" ბაზაზე 2017 წლის 01 იანვრამდე უზრუნველყოს მრავალპროფილიანი სამედიცინო დაწესებულების ამოქმედება (გადაცემული ქონების რეკონსტრუქცია, რემონტი, ასევე, სამედიცონო დანადგარებითა და ინვენტარით „სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიისა და სტაციონალური დაწესებულების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2010 წლის 17 დეკემბრის N385 დადგენილების შესაბამისად აღჭურვა);

1.2 „ხელშეკრულების“ 3.1.3 მუხლში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

3.1.3 „ქონების“ ბაზაზე 2017 წლის 01 იანვრამდე უზრუნველყოს კომერციული ან/და საცხოვრებელი ინფრასტრუქტურის მოწყობა-განვითარება.

მუხლი 2.

2.1 ხელშეკრულებაში შესული ცვლილებები არ ცვლის ხელშეკრულების სხვა მუხლების შინაარსს. ყველა სხვა მუხლებით დადგენილი მხარეთა უფლებები და მოვალეობები რჩება უცვლელი.

2.2 ხელშეკრულებაში განხორციელებული ცვლილებები მიიჩნევა ხელშეკრულების შინაარსის ნაწილად და მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების განმარტების დროს.

მუხლი 3.

3.1 ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერისა და სსიპ "საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში" (შემდგომში ,,საჯარო რეესტრი") რეგისტრაციის მომენტიდან.

3.2. „მხარე“ ვალდებულია დაფაროს წინამდებარე ხელშეკრულების ,,საჯარო რეესტრში'' რეგისტრაციის ხარჯი.

3.3 ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად, რომლებიც გადაეცემა მხარეებს და საჯარო რეესტრს.

სააგენტო
სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო
წარმომადგენელი:
გვანცა ნასყიდაშვილი

გვანცა ნასყიდაშვილი

მხარე
შპს „SAYALI“
წარმომადგენელი:
მამედ სულეიმანოვი

მამედ სულეიმანოვი